ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4267579

ნომერი: AR1639473

თარიღი : 23.10.2018

გაცემის თარიღი : 16.11.2018

გაცნობის თარიღი : 16.11.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გლდანის საცხოვრებელი რაიონი , I კვარტლის მიმდებარედ , (ნაკვეთი N1/40);

დამკვეთი-განმცხადებელი
- დავით გვასალია პ/ნ 42001005607
- თბილისი გლდანი VII მ/რ კორ. 1 ბ. 56

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 30 ივნისის №3364171 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ –ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2018 წლის 23

ოქტომბერს NAR1639473 განცხადებით მომართეს დავით გვასალიამ და ჯემალ ხარებავამ. განმცხადებლებმა მოითხოვეს ამავე სამსახურის 2017 წლის 30 ივნისის №3364171 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება. სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2017 წლის 30 ივნისის №3364171 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, გლდანის საცხოვრებელი რაიონი, I კვარტლის მიმდებარედ, (ნაკვეთი N1/40), შპს "საერთაშორისო აკადემია გუმა-მერიდიანი"-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი N01.11.13.001.100) საგანმანათლებლო დაწესებულების არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2017 წლის 30 ივნისიდან 2018 წლის 30 ივლისის ჩათვლით. წინამდებარე განცხადებით, განმცხადებლები ითხოვენ სამსახურის 2017 წლის 30 ივნისის №3364171 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებას. კერძოდ, ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი 165.27 კვ.მ-ის ნაცვლად უნდა იყოს 796.19 კვ.მ, სასწავლო აუდიტორიის ფართობი 1578.43 კვ.მ-ის ნაცვლად - 1523.09 კვ.მ. საერთო ფართობი 2196.14 კვ.მ-ის ნაცვლად - 2771.72 კვ.მ. განმცხადებლის მიერ ასევე წარმოდგენილია შესწორებული გეგმები.
სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები და გეგმები შეადარა შეთანხმებულ არქიტექტურულ გეგმა–ნახაზებს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები ფართობების არასწორი დაჯამების გამო, რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში. ამასთან, გეგმები არ იცვლება, უბრალოდ ხდება გეგმებზე ფართების დაზუსტება. შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლების მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 30 ივნისის №3364171 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირდეს: კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი: 796.19 კვ.მ, სასწავლო აუდიტორიის ფართობი: 1523.09 კვ.მ. საერთო ფართობი: 2771.72 კვ.მ.
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 30 ივნისის №3364171 ბრძანებით შეთანხმებული -2.70, 0.00, 3.10, 6.20, 9.30, 12.40, 15.50 და 16.90 ნიშნულის გეგმები ჩანაცვლდეს 2018 წლის 23 ოქტომბრის NAR1639473 განცხადებით წარმოდგენილი ამავე ნიშნულის გეგმებით.
3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 30 ივნისის №3364171 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 30 ივნისის №3364171 ბრძანებასთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.